სასარგებლო ბმულები ინგლისურის მასწავლებლებისთვის

ავტორი ქრისტინა სურგულაძე

„წესით, მეოთხე კლასამდე ბავშვებს მშობლიური ენის გარდა, სხვა არცერთ ენას არ უნდა ვასწავლიდეთ“, ამბობს სამხრეთ აფრიკელი მწერალი და განათლების სპეციალისტი იოჰან ვან ლილი, რომელიც განათლების საკითხებში ჩვენი სკოლის კონსულტანტია. დაფიქრებული ვუსმენ და მახსენდება, რამდენჯერ გამისწორებია პირველ ან მეორეკლასელთა რვეულებში ორ სხვადასხვა ანბანზე დაწერილი ერთი ენის სიტყვები, მაგალითად dog ან bmll. რამდენჯერ გამიმეორებია, რომელი ასოებია ეს უცნაურად დაბეჭდილი a და g, რომელიც მე დაფაზე არასდროს დამიწერია (!) და რომ ისინი ზუსტად ისე არ უნდა გადმოხატონ, როგორც წიგნშია. მახსენდება, რამდენჯერ მომისმენია გულგატეხილი ფრაზა – „მას, რა მოხდება, როგორც კითხულობენ, ისე რომ წერდნენ“. ან რამდენჯერ გამინეიტრალებია მორიგი A-ის კარნახისას დაფაზე დაწერილი ei-ით გამოწვეული დაძაბულობა ინგლისურის ანბანის 26 ასოზე მოყოლილი ზღაპრებით – რომ ყველა ასოს საკუთარი სახელი აქვს და ყოველთვის საჭირო არაა ამოკითხვისას სრული სახელებით მივმართოთ. სჯობს შევამოკლოთ, მაგ, როგორც „გიო“ და „თეო“, „გიორგის“ და „თეონას“ ნაცვლად, რადგან მათ ასე მოსწონთ. მახსენდება, რამდენჯერ გამიმეორებია, რომ მტკიცებით წინადადებას კითხვით წინადადებად ვერ გადავაქცევთ ბოლოში ინტონაციის უცნაური ცვლილებით, რომ ამ შემთხვევაში do ჩვენი საუკეთესო მეგობარია. ამავდროულად ვიხსენებ, რამდენჯერ მომიყოლია ამბავი to be ზმნაზე, რომელიც ისეთი მაგარი ტიპი აღმოჩნდა, რომ კითხვითი და უარყოფითი ფორმის საწარმოებლად სულელი do-ს დახმარება სულაც არ დასჭირდა, დაეჭიდა და დაამარცხა. მახსენდება ყველა შეცდომა, რომელიც ხშირად ტრაგედიად ეჩვენებათ ხოლმე და მეცინება ყველა ჩემს ახლა უკვე ტკბილ მოგონებებად ქცეულ გამოწვევებზე: დაწყებითი კლასების მასწავლებლობა თავისებურად ყველაზე რთული და ამავდროულად ყველაზე მაგარი რამაა.

გამოდის, რომ თურმე მეოთხე კლასამდე ბავშვებს საშუალებას უნდა ვაძლევდეთ ჯერ თავიანთ მშობლიურ ენას დაეუფლონ კარგად და, პარალელურად, მეორე ენის სწავლებით აღარ უნდა ვღლიდეთ. და რადგან რეალობაში ასე მაინც არ გამოდის, ყველანი მუდამ ვეძებთ და ვცდილობთ, რომ რამენაირად უცხო ენის გაკვეთილი ისეთი იყოს, რომ თამაშით ისწავლონ, ბევრს უყურონ, ბევრს უსმინონ, ბევრი ხატონ და ბევრი იმღერონ, შესაბამისად ნაკლები იზეპირონ და დაისტრესონ. დამეთანხმებით, დაწყებითი კლასებისთვის განკუთვნილი წიგნებიც უმეტესად ამ პრინციპზეა აგებული. თუმცა გარდა წიგნისა, გაკვეთილზე უამრავი რესურსის გამოყენება შეგვიძლია. თუ ინგლისურის მასწავლებელი ხართ, ამ მხრივ ძალიან გაგიმართლათ! ინტერნეტი სავსეა ისეთი საიტებითა და აპლიკაციებით, რომელთა გამოც ბავშვებს „საძაგელი წესების“ არსებობა სულ ავიწყდებათ და ინგლისურის გაკვეთილამდე, როგორც თავად ამბობენ „სულ წუთებს ითვლიან“.

ჩემს სარეკომენდაციო ჩამონათვალში **პირველ** ადგილს, რა თქმა უნდა, ქუიზლეტს დავუთმობ.

ქუიზლეტი ორნაირად შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორც საიტი და როგორც აპლიკაცია. დარეგისტრირებისას მიუთითეთ, რომ მასწავლებელი ხართ. ამის შემდეგ შეგიძლიათ იპოვოთ ან თავადვე შექმნათ საკუთარი ფლეშქარდები, იმის მიხედვით, თუ რა სიტყვებს ასწავლით მოცემულ მომენტში. სიტყვის შეყვანისას პლატფორმა თავად გთავაზობთ, რომელ ენაზე გსურთ განმარტების მითითება. ჩამონათვალში ქართულიც არის, თუმცა უმჯობესია, ქართული განმარტების ნაცვლად სურათი გამოიყენოთ. ასე ბავშვები უფრო სწრაფად ახერხებენ დამახსოვრებას. სიტყვის შესაფერისი ფოტო შეგიძლიათ თავადვე ატვირთოთ ან ქუიზლეტის მიერ შემოთავაზებულთაგან ერთ-ერთი აირჩიოთ.

ქუიზლეტს სწავლების, ტესტირებისა და დასაკავშირებელი თამაშის ფუნქციები აქვს. სწავლების ფუნქცია მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ გაჰყვეს თითოეულ სიტყვას და საფუძვლიანად დაიმახსოვროს. ტესტირების საშუალებით ცოდნის შემოწმება შეუძლიათ. ხოლო დასაკავშირებელი თამაში სწორედ ისაა, რისი ხათრითაც, მაგალითად, ჩემი მოსწავლეები მუდამ სწავლობენ ახალ სიტყვებს. გამარჯვებული ისაა, ვინც ყველაზე ნაკლებ დროში მოახერხებს სიტყვისა და მნიშვნელობის ან სიტყვისა და შესაბამისი სურათის დაკავშირებას. ამ თამაშს ხშირად ვიყენებ უშუალოდ სიტყვების ახსნის დღესაც, ასე ბავშვები კლასშივე ახერხებენ სიტყვების ნაწილის კარგად დამახსოვრებას. ქუიზლეტის აპლიკაცია შეგიძლიათ ტელეფონებშიც ჩამოტვირთოთ. თუკი მოსწავლეები საიტზე ან აპლიკაციაში თავიანთ ანგარიშებს გახსნიან და თქვენს კლასს შემოუერთდებიან, საშუალება გექნებათ, რომ მათი პროგრესი და შედეგები მუდამ აკონტროლოთ, დაინახავთ როდის ითამაშეს ან იმეცადინეს.

ქუიზლეტის შემდეგ ყველაზე ხშირად ლაივვორქშითს ვსტუმრობ

საკუთარი ტესტების შედგენა და ატვირთვა აქაც შეგიძლიათ, თუმცა ეს საიტი სავარჯიშოების უზარმაზარი ბანკია და მასზე ნებისმიერ დროს შეძლებთ თქვენთვის სასურველი ტესტის ფურცლის პოვნას (და არამხოლოდ ინგლისურის გაკვეთილისთვის). რაც მთავარია, აქ ტესტების უმეტესობა ინტერაქციულია. მოსწავლეებს შეუძლიათ, ეკრანზევე ჩაწერონ, დააფიქსირონ, შემოხაზონ ან დააკავშირონ სწორი პასუხები, ბოლოს კი შემოწმების ფუნქციით გაიგონ, რას უპასუხეს სწორად, რას არასწორად და, შესაბამისად, 10-ბალიანი სისტემით შეფასდნენ. მოსწავლეებისთვის ბოლო ნაწილი განსაკუთრებით ამაღელვებელია ხოლმე.

საიტზე დარეგისტრირების შემთხვევაში ასევე შეგიძლიათ ზოგიერთი ტესტის ფურცელი ჩამოტვირთოთ, დაბეჭდოთ და საჭიროების შემთხვევაში ასე მიაწოდოთ მოსწავლეებს.

მესამე ადგილს თავისუფლად გავუნაწილებ კაჰუტსა და ქუიზიზს



იმ განსხვავებით, რომ კაჰუტი საკლასო ოთახის რესურსი უფროა, ცოდნის შესამოწმებლად, ქუიზიზი კი საშინაო დავალების რესურსად შეგვიძლია ვაქციოთ. კაჰუტზე დარეგისტრირების შემთხვევაში თავადაც შეგიძლიათ ტესტების აწყობა. საიტის უფასო ვერსია საშუალებას გაძლევთ მხოლოდ ერთი ტიპის ტესტი შექმნათ. კითხვების რაოდენობაში შეზღუდული არ ხართ და ლამაზი გაფორმებაც იქვე შეგიძლიათ აარჩიოთ. ტესტირებისას მოსწავლეები ეკრანზე ხედავენ შეკითხვას სავარაუდო პასუხებით. სავარაუდო პასუხებს პირობითად მინიჭებული აქვს რომელიმე გეომეტრიული ფიგურა და ფერი. კაჰუტის აპლიკაციის ან პირდაპირ საიტის საშუალებით მოსწავლეებს მარტივად შეუძლიათ, ტესტირებას სპეციალური ეკრანზევე მითითებული პინით შემოუერთდნენ. მათ უნდა შეძლონ სწორი პასუხის ფიგურისა და ფერის დაფიქსირება თავიანთი მოწყობილობის ეკრანზე. ყოველი შეკითხვის მერე ლიდერთა დაფა ახლდება და მოსწავლეებს სწორი პასუხების მიხედვით სხვადასხვა რაოდენობის ქულები ენიჭებათ.

ქუიზიზე თქვენს გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული ქვიზების პოვნა მარტივადაა შესაძლებელი. თითოეულ ქვიზს თავისი პინი აქვს, ამ პინის გაზიარება ლინკთან ერთად შეგიძლიათ. იმისთვის, რომ ქვიზი ჩაირთოს, აუცილებელია ერთზე მეტი მოსწავლე იყოს შესული. ასე სასწავლო ქვიზი ნამდვილ კომპიუტერულ თამაშს ემსგავსება და მოსწავლეებს მოტივაცია ეძლევათ, რომ როგორმე პირველ ადგილზე მოხვდნენ – მათ შორის ქვიზის რამდენჯერმე შესრულებითაც, რის დროსაც ბოლოს და ბოლოს ყველაფერს იმახსოვრებენ, რაც კი ქვიზშია და ასე და ამგვარად მასწავლებლის მიზანიც მიღწეული ხდება.

მეოთხე ადგილისთვის რეკომენდაციას ერთ სასარგებლო და ამასთანავე სუპერ სახალისო საიტს – ბამბუზელს ვუწევ.



ამ საიტის არსებობის შესახებ ცნობები სულაც ჩემი მოსწავლეებისგან მივიღე. საიტზე თამაშების სექციაში ათასობით ქვიზია ასობით სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით. საიტის უფასო ვერსია საშუალებას გაძლევთ, კლასიკური რეჟიმით შექმნათ ორი გუნდი (გუნდში მოსწავლეთა რაოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა ქაოსისგან რომ თავი დაიზღვიოთ, გირჩევთ, მთელი კლასი მხოლოდ ორ გუნდად არ გაყოთ), თითოეულ გუნდს ენიჭება სახელი, რომელიც თავად სურთ. ამის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება 15 კვადრატი. რიგრიგობით ხელის დაჭერით კვადრატები ტრიალდება და მოსწავლეები შეკითხვას ხედავენ. ყველა შეკითხვას სირთულის მიხედვით მინიჭებული აქვს ქულები. შიგადაშიგ კვადრატის უკან შესაძლებელია იყოს ისეთი შეტყობინება, რომელიც გუნდს აუწყებს, რომ მოწინააღმდეგე გუნდს ქულები უნდა აჩუქოს, ან მისგან იჩუქოს, ან ქულები სულ უნდა გაუნულდეთ, ან გაეცვალოთ – ეს დამატებითი მხიარულებაა. ყველაზე მთავარი – ამ საიტზე ყველა საგანთან დაკავშირებული თამაშების პოვნა

შეიძლება, ასევე სხვადასხვა თემატიკისაც, როგორებიცაა, ფილმები, ანიმაციები, დროშები, ლოგოები და ა.შ.

გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვებს ფერადი და სახალისო გრაფიკული გამოსახულებებით თამაშები სულ იტაცებთ, შიგადაშიგ შეგვიძლია მშობლებს მათთვის ტელეფონში სპეციალური აპლიკაციების ჩაწერა ვთხოვოთ. მაგალითად, პირველკლასელებს ძალიან გამოადგებათ ABC Kids.

ეს თამაში საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ 26 ასოდან ერთ-ერთი და მასთან დაკავშირებული მარტივი დავალებები შევასრულოთ, მაგალითად, გავაყოლოთ ფორმას თითი და ა.შ. რაც მთავარია, თამაშს ორი უსაყვარლესი გმირი ჰყავს, რომლებიც დავალებების შესრულებისას გვეხმარება, გვამხნევებს და მინიშნებებს გვაძლევს (ასოს დასახელებასაც სულ გიმეორებს).

მაღალკლასელებისთვის ტელეფონში ჩასაწერად easy5verbs, Phrasal verbs და Grammar by British Council გამოდგება.

easy5verbs ბრწყინვალე პლატფორმაა არაწესიერი ზმნების ფორმების დასასწავლად. წინასწარ შედგენილი პროგრამა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სწავლის პროცესი გაკვეთილებად დაყონ და თითოეულ გაკვეთილში მაქსიმუმ სამი ან ოთხი არაწესიერი ზმნის დასწავლას დაუთმონ დრო. Phrasal verbs ფრაზულ ზმნებზეა კონცენტრირებული, Grammar by British Council კი ენის ნებისმიერი დონის მცოდნისთვის მოიცავს სხვადასხვა გაკვეთილებს.

მსგავსი ჩამონათვალი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. არსებულ რესურსებს კი უამრავი რამ შეიძლება დაემატოს. მთავარია, არ გაგვიჭირდეს იმ ფაქტის მიღება და გააზრება, რომ ეპოქის გათვალისწინებით იმ პატარების მასწავლებლობა მოგვიწია, რომლებსაც ტექნიკა და კომპიუტერული თამაშები განსაკუთრებით უყვართ. ჰოდა, ზომიერების ფარგლებში რატომ არ უნდა მივაწოდოთ მასალა ისე, როგორც მათ უყვართ?!

ბმულები

https://quizlet.com/

https://quizizz.com/?lng=en

https://kahoot.com/

https://www.liveworksheets.com/

https://www.baamboozle.com/

https://apps.apple.com/us/app/abc-kids-tracing-phonics/id1112482869